



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #098/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე აბულაძე (სტუდენტი)

1. ფაქტები

ადვოკატი ს. ჯ. წარმოდგენდა პატიმრობაში მყოფი პირის - მ. ხ.-ის ადვოკატს, ხოლო ე. რ. იყო მ. ხ.-ის ყოფილი ცოლის, დაზარალებულ - მ. კ.-ის ადვოკატი. წარმოდგენილი 2 სატელეფონო ჩანაწერიდან - პირველი ჩანაწერი, არ იქნა აღიარებული მტკიცებულებად, ვინაიდან ჩანაწერის განხორციელების შესახებ არ იყო ინფორმირებული საუბრის მონაწილე მხარე, შესაბამისად, ჩანაწერი ჩაითვალა უკანონოდ მოპოვებულად. რაც შეეხება მეორე ჩანაწერს, რომლის ჩაწერის თაობაზეც ინფორმირებული იყო ს. ჯ., მან საუბარში გამოიყენა შემდეგი სიტყვები: - „ფეხებს ვერ მომჭამენ, მომისმინე ე. გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში“; „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი“; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები“.

2. პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში დაზარალებულის ადვოკატმა შეიტანა საჩივარი ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ს. ჯ.-ის მიერ წარმოთქმული სიტყვები „მომისმინე ე. გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში“ - არ წარმოდგენს ადვოკატის შეურაცხყოფას, ვინაიდან გასათვალისწინებელია წარმოთქმული ფრაზის კონტექსტი და მიზანი, რაც ადვოკატებს შორის სტაჟის შედარებისთვის იყო წარმოთქმული. რაც შეეხება წინადადებებს - „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი“; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები“, განხილვის ეტაპზე აღნიშნული ფრაზების ძალადობრივი და მართლსაწინააღმდეგო შინაარსის დადასტურების შემთხვევაში, სახეზე იქნება კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულების დარღვევა.

3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვა გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობასა და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთან საერთო კორპორატიული ინტერესებიდან - იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას. დისციპლინური სამართალწარმოების დროს საჩივრის ავტორს ეკისრება ტვირთი დაამტკიცოს, რომ მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა შელახა მისი ღირსება და დაავიან კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება.²

იმისათვის რომ დადგინდეს ადვოკატ ე. რ.-ის პრეტენზიის მართებულობა, აუცილებელია შეფასდეს ადვოკატის გამონათქვამები. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. თუმცა, სიტყვისა და

¹ საქართველოს ეთიკის კომისიის 2019 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება:
<https://gba.ge/pdf/5c99f1e0d9cb3.pdf/098-18%20gaftrtileba.pdf>

² იხ. საქართველოს ეთიკის კომისიის მსგავსი გადაწყვეტილება საქმე N2317/12/06.

გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს. შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გამონათქვამის შინაარსის, ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოცემული წინადადება - „ფეხებს ვერ მომჭამენ, მომისმინე ე. გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში“ გამოხატავს ადვოკატის აზრს, რომელიც წარმოადგენს შეფასებას და ადვოკატ ს. ჯ.-ის სუბიექტურ დამოკიდებულებას ე. რ.-ის მიმართ. აზრი კი, კანონის თანახმად, დაცულია აბსოლუტური უფლებით. რაც შეეხება სიტყვებს - „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი“; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები“- აღსანიშნავია, რომ პირველი წინადადებების შინაარსი შეურაცხმყოფელი ხასიათისაა, ვინაიდან ადვოკატი მისი კოლეგა ადვოკატის მიმართ საუბრისას იგინება, ხოლო მეორე წინადადება შეიცავს ძალადობრივ შინაარსს, რომელიც მიმართულია ე. რ.-ის კლიენტის მიმართ. ამასთანავე, ადვოკატ ს. ჯ.-ის განმარტებით, ს. ჯ.-ძესა და ე. რ.-ეს შორის სატელეფონო საუბრის დროს, ტელეფონი ჩართული იყო ხმამაღალ რეჟიმზე და მათ საუბარს ესწრებოდა რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ ადვოკატებს შორის მიმართვის შინაარსი, რასაც მათ თვალში შესაძლოა ადვოკატ ე. რ.-ის საქმიანი რეპუტაცია შეელახა. გასათვალისწინებელია ასევე, წინადადებათა კონტექსტიც, რომელიც მიმართული იყო ე. რ.-ის კლიენტის მიმართ, რომელიც იყო პროცესის მონაწილე და რომლის მიმართ განხორციელებული გამონათქვამები ადვოკატს დამატებით ვალდებულებას აკისრებს (პროცესის მონაწილე პირის მიმართ პატივისცემით ვალდებულება).

ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ ე. რ.-ის მიმართ წარმოთქმული სიტყვები იძლევა ლოგიკური მსჯელობის საფუძველს, რომ ადვოკატებს შორის არსებობდა დამაბული ურთიერთობა, ხოლო ს. ჯ.-ის მიერ გამოყენებული ტერმინები ასახავს არაპოზიტიურ დამოკიდებულებას ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ, რაც არ ჯდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, ვინაიდან წარმოთქმული წინადადებების შინაარსი, ფორმა თუ კონტექსტი არის შეურაცხმყოფელი და მართლსაწინააღმდეგო, ამასთან წარმოთქმულმა ფრაზებმა გამოიწვია ადვოკატ ე. რ.-ის ღირსების შელახვა და ადვოკატის მხირდან კოლეგა ადვოკატის მიმართ პატივისცემის ვალდებულების დარღვევა. რაც შეეხება, ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ წარმოთქმულ ფრაზაში მუქარის შემცველი განცხადებების არსებობა/არარსებობას - აღნიშნულის შეფასება ვერ განხორციელდება ეთიკის კომისიის მიერ, ვინაიდან სცდება კომისიის კომპეტენციის ფარგლებს.

4. დასკვნა

მოცემულ შემთხვევაში, ზიანი მიადგა, როგორც ადვოკატის პროფესიის, ასევე კოლეგა ადვოკატის ღირსებას. თუმცა გადაცდომის სიმძიმის, ხარისხის, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ადვოკატი ს. ჯ. არ ყოფილა დისციპლინირებული, ს. ჯ.-ის მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან. ვინაიდან, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და მე-10 მუხლის პირველი ნაწილი, ადვოკატის მიმართ სახდელის სახედ განისაზღვრა გაფრთხილება.